სახელმძღვანელო მითითებები ევროპული წარმოების პროდუქციასთან დაკავშირებული ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით დაბალი შემოსავლის ან/და მცირერიცხოვანი აუდიტორიის მქონე აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებლის განსაზღვრის შესახებ[1]

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დაბალი შემოსავლის ან/და მცირერიცხოვანი აუდიტორიის მქონე გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებლის განსაზღვრის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები (შემდგომში - „სახელმძღვანელო მითითებები“) წარმოადგენს მეთოდოლოგიური ხასიათის დოკუმენტს, რომლითაც ხელმძღვანელობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში - „კომისია“) გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებლის ევროპული წარმოების პროდუქციასთან დაკავშირებული ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნისთვის.

2. ამ სახელმძღვანელო მითითებებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი სარეკლამო შემოსავლით (AVOD - Advertising Video-on-Demand) - გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი, რომელიც შემოსავალს იღებს რეკლამის მეშვეობით და კატალოგებში განთავსებული პროგრამების მთლიანი ან გარკვეული ნაწილი მომხმარებლისთვის უფასოდ ხელმისაწვდომია.

ბ) ტრანზაქციული გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი (TVOD - Transactional Video-on-Demand) - გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს კატალოგებში განთავსებულ პროგრამაზე წვდომას განსაზღვრული ჯერადობით.

გ) გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი ფასიანი გამოწერით (SVOD - Subscription Video-on-Demand) - გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი, რომელიც მომხმარებლებს განსაზღვრული ვადით სთავაზობს მის კატალოგებში განთავსებულ პროგრამებთან წვდომის უზრუნველყოფას პერიოდული საფასურის სანაცვლოდ.

3. სახელმძღვანელო მითითებებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა რაც „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში არის მოცემული.

მუხლი 2. სახელმძღვანელო მითითებების შემუშავების ნორმატიული საფუძველი

ეს სახელმძღვანელო მითითებები შემუშავებულია კომისიის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45[2] მუხლის მე-4 პუნქტის და 76-ე მუხლის 38-ე პუნქტის საფუძველზე.

მუხლი 3. დაბალი შემოსავალი

გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი მიიჩნევა დაბალი შემოსავლის მქონედ თუ მისი შემოსავალი გასული წლის მდგომარეობით 2 მილიონ ლარს არ აღემატება.

---

[1] დამტკიცებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 27 ივნისის №25 სხდომაზე საოქმო გადაწყვეტილებით

მუხლი 4. მცირერიცხოვანი აუდიტორია

1. საქართველოში მოქმედი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლების აბონენტების რაოდენობის გათვალისწინებით[2], გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი მიიჩნევა მცირერიცხოვანი აუდიტორიის მქონედ, თუ გასულ წელს ყოველთვიურად მისი მომხმარებელთა საშუალო რაოდენობა არის 10,000-ზე ნაკლები. კერძოდ, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებლის მომხმარებელთა რაოდენობის დადგენის მიზნით, უნდა გაირკვეს წინა წლის განმავლობაში ყოველთვიურად საშუალოდ რამდენი პირი სარგებლობდა მისი მომსახურებით.

2. ამ სახელმძღვანელო მითითებების მიზნებისთვის მომხმარებელი არის პირი, რომელიც სასყიდლიანად ან უსასყიდლოდ სარგებლობს გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებლის მომსახურებით. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების მიმწოდებლის მომხმარებელთა რაოდენობის გამოთვლისას მიზანშეწონილია, მხედველობაში იქნეს მიღებული მომსახურების მიმწოდებლის სპეციფიკა და მომხმარებელთა ყოველთვიური საშუალო რაოდენობა. მაგალითად, თუ გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი SVOD-ის კატეგორიას მიეკუთვნება, მის მომხმარებლად მიიჩნევა ფასიანი გამომწერი, რომელიც თანხას იხდის კატალოგში გათვალისწინებულ პროგრამებთან გარკვეული ვადით წვდომის უზრუნველყოფის სანაცვლოდ. AVOD-ის კატეგორიის გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების შემთხვევაში მომხმარებელი არის უნიკალური ვიზიტორი ან უფასო გამომწერი, ხოლო TVOD-ის შემთხვევაში კი უნიკალური მომხმარებელი, რომელმაც არანაკლებ ერთ პროგრამასთან წვდომის მიღების მიზნით განახორციელა ტრანზაქცია.

3. იმ შემთხვევაში თუ გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურება ინტეგრირებულია სხვა ტიპის მომსახურებებთან, მაშინ გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მომხმარებლად მიიჩნევა პირი, რომელიც იყენებს გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მასალას.

4. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებლების ამ მუხლით გათვალისწინებული კლასიფიკაცია არ არის ამომწურავი და ბაზარზე შესაძლოა არსებობდეს ისეთი გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურებაც, რომელიც ამ კატეგორიებს არ განეკუთვნება. თუ გამოძახებით მედიამომსახურების მიმწოდებელი არ განეკუთვნება ამ მუხლით გათვალისწინებულ არცერთ კატეგორიას ან არ შეუძლია მომხმარებლების აღრიცხვა ამ მუხლით გათვალისწინებული ფორმატით, იგი განსაზღვრავს მომხმარებლების რაოდენობას მისთვის ხელსაყრელი მეთოდით და კომისიას წარუდგენს გამოყენებული მეთოდის შესახებ ახსნა-განმარტებას.

[2] მიჩნეულია, რომ ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლების აბონენტები არიან გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების პოტენციური მომხმარებლები